

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №98

2017 წლის 16 ივნისი

ქ. თბილისი

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის“ შეთანხმების და საქართველოს საჰაერო კოდექსის 58¹ მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის წესი“.

მუხლი 2

1. ბრძანება, გარდა ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლისა, ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

2. ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის
სააგენტოს დირექტორი

გურამ ჯალალონია

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის წესი

მუხლი 1. წესის მოქმედების სფერო

1. ამ წესის მოქმედება ვრცელდება საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოზე, რომელიც კომერციული მიზნით, საკუთრებაში არსებული და/ან იჯარით აღებული საჰაერო ხომალდით ახორციელებს მგზავრის გადაყვანას, ფოსტის და/ან ტვირთის გადაზიდვას.

2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება ზემსუბუქი საჰაერო ხომალდით ან ძრავას გარეშე საფრენი აპარატით შესრულებულ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვაზე, აგრეთვე სასწავლო და/ან ლოკალურ ფრენებზე.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №198 - ვებგვერდი, 26.09.2022წ.

მუხლი 2. ტერმინები და განმარტებები

წესში გამოყენებულ ტერმინებს, ამ წესის მიზნებისათვის, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობა“ (შემდგომში მოწმობა) – საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის მიერ მგზავრების, ბარგის, ტვირთის ან/და ფოსტის კომერციული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის განხორციელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა“ – გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ მგზავრების, ფოსტის და/ან ტვირთის გადაზიდვის მიზნით განხორციელებული ფრენა ან ფრენების თანმიმდევრობა;

გ) „ლოკალური ფრენა“ – ფრენა, რომელიც არ მოიცავს მგზავრების, ფოსტის და/ან ტვირთის გადაზიდვას სხვადასხვა აეროპორტებს შორის ან სხვა ნებადართულ დასაფრენ პუნქტებში (როდესაც საჰაერო ხომალდის აფრენისა და დაფრენის პუნქტი არის ერთი და იგივე);

გ¹) „ეფექტური კონტროლი“ – პირის ურთიერთდამოკიდებულება საწარმოსთან, რომელიც გამოიხატება, მათ შორის, უფლებებით, ხელშეკრულებებით ან ნებისმიერი სხვა სახით, რომლებიც ცალ-ცალკე ან ერთობლივად და სათანადო ფაქტობრივი მტკიცებულების ან კანონმდებლობის საფუძველზე, იძლევა საწარმოზე პირდაპირი თუ ირიბი გზით გადამწყვეტი ზეგავლენის



განხორციელების შესაძლებლობას, შემდეგი საშუალებებით:

ა) უფლების მოპოვებით საწარმოს ყველა აქტივის ან მათი ნაწილის გამოყენებაზე; ან/და

ბ) გარიგებით ან უფლებით, რის საფუძველზეც გადამწყვეტი ზეგავლენა ხორციელდება საწარმოს სტრუქტურულ შემადგენლობაზე, ხმის მიცემის პროცედურაზე ან საწარმოს სტრუქტურული ერთეულების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე, ან რის საფუძველზეც სხვაგვარად ხორციელდება საწარმოს მართვაზე გადამწყვეტი ზეგავლენა.

დ) „ავიაგადამზიდველი“ – მოწმობის მფლობელი საწარმო;

ე) „ბიზნესგეგმა“ – განსახილველი პერიოდის განმავლობაში საწარმოს დაგეგმილი კომერციული საქმიანობის დეტალური აღწერა, კერძოდ, ბაზრის მოსალოდნელი განვითარების, განსახორციელებელი ინვესტიციების და სავარაუდო შემოსავლების და ხარჯების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია და აღნიშნული ინფორმაციის ფინანსური და ეკონომიკური ანალიზი.

ვ) „რეგულარული საჰაერო მიმოსვლა“ – ფრენების ერთობლიობა, რომლებსაც გააჩნია შემდეგი მახასიათებლები:

ვ.ა) თითოეული ფრენისას ადგილები და/ან კომერციული ტევადობა ტვირთის და/ან ფოსტის გადაზიდვისათვის ხელმისაწვდომია საზოგადოების მიერ ინდივიდუალური შესყიდვისათვის (უშუალოდ ავიაგადამზიდისაგან ან უფლებამოსილი აგენტებისაგან);

ვ.ბ) ფრენის შესრულება ხორციელდება ორ ან მეტ ერთსა და იმავე აეროპორტს შორის – გამოქვეყნებული განრიგის შესაბამისად;

ზ) „საქმიანობის ძირითადი ადგილი“ – საწარმოს ძირითადი ადგილსამყოფელი, სადაც ხორციელდება ძირითადი საფინანსო ოპერაციები, ოპერირების დაგეგმვა და ფრენის ვარგისობის შენარჩუნების მართვა;

თ) მშრალი ლიზინგი/მშრალი იჯარა – საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის გარეშე გადაცემის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საჰაერო ხომალდის ექსპლუატაცია წარმოებს ლიზინგის მიმღები/მოიჯარე საწარმოს ექსპლუატანტის მოქმედი სერტიფიკატის (AOC) შესაბამისად;

ი) ეკიპაჟიანი იჯარა – ავიაგადამზიდველებს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, საჰაერო ხომალდის ექსპლუატაცია მეიჯარის საჰაერო ხომალდის მოქმედი ექსპლუატანტის სერტიფიკატის შესაბამისად ხორციელდება;

კ) „კატეგორიის საწარმო – საწარმო, რომელიც ახორციელებს იმ საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციას, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა არის ან აღემატება 10 ტონას და/ან რომლის ადგილების რაოდენობა არის ან აღემატება 20-ს;

ლ) „ბ“ კატეგორიის საწარმო – საწარმო, რომელიც ახორციელებს იმ საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციას, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა ნაკლებია 10 ტონაზე და/ან რომლის ადგილების რაოდენობა ნაკლებია 20-ზე;

მ) წმინდა აქტივები – სხვაობა პირის აქტივებსა და მის ვალდებულებებს შორის.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება №172 - ვებგვერდი, 03.11.2020წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №187 - ვებგვერდი, 10.08.2021წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №198 - ვებგვერდი, 26.09.2022წ.

მუხლი 3. საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობა და მოწმობის გაცემის პირობები

1. საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი უფლებამოსილია კომერციული მიზნით განახორციელოს მგზავრების, ბარგის, ტვირთის ან/და ფოსტის საჰაერო



გადაყვანა-გადაზიდვა, თუ მას აქვს საჭაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობა.

1¹. ამ მუხლის მიზნებისთვის კომერციული საჭაერო გადაყვანა-გადაზიდვა მოიცავს საქართველოში რეგისტრირებული საჭაერო ხომალდის ექსპლუატანტის მიერ მგზავრების, ბარგის, ტვირთის ან/და ფოსტის საჭაერო გადაყვანა-გადაზიდვის კომერციული მიზნით განხორციელებას, მათ შორის, საჭაერო ხომალდის სხვა ექსპლუატანტისთვის ეკიპაჟიანი იჯარით გადაცემას.

2. მოწმობის გაცემას, გაცემაზე უარის თქმას, მოქმედების ვადის შეჩერებას, განახლებას და გაუქმებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

3. საჭაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიცემა საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მისი საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო;

ბ) საქართველოს მოქალაქე/მოქალაქეები ან/და საქართველოს სახელმწიფო ან/და საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირი (რომლის დამფუძნებელი/დამფუძნებლები ან/და ხმის უფლების მქონე წილის ან აქციების 50%-ზე მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელი/მფლობელები არის/არიან საქართველოს მოქალაქე/მოქალაქეები, საქართველოს სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეული/ერთეულები), საკუთრების უფლებით ფლობს/ფლობენ მასში ხმის უფლების მქონე წილის ან აქციების 50%-ზე მეტს.

შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისთვის, ხმის უფლების მქონე წილის ან აქციების 50%-ზე მეტის საკუთრების უფლებით ფლობა უნდა ითვალისწინებდეს, მათ შორის, მასზე ეფექტური კონტროლის განხორციელებას.

გ) მისი მთავარი საქმიანობაა კომერციული საჭაერო გადაყვანა-გადაზიდვა, რომელსაც იგი ახორციელებს ცალკე ან კომბინირებულად – საჭაერო ხომალდის სხვა სახის კომერციულ ექსპლუატაციასთან ან მის რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებასთან ერთად;

დ) ფლობს სააგენტოს მიერ გაცემულ მოქმედ ექსპლუატანტის სერტიფიკატს;

ე) აკმაყოფილებს ფინანსური მდგრადობის მოთხოვნებს, კერძოდ:

ე.ა) გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსები ბიზნესგეგმით გათვალისწინებული არსებული და პოტენციური ვალდებულებების შესასრულებლად, საჭაერო ხომალდის ექსპლუატაციის დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში; და

ე.ბ) საბანკო ანგარიშზე გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საჭაერო ხომალდის ექსპლუატაციის დაწყებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში ბიზნესგეგმით გათვალისწინებული ფიქსირებული და საოპერაციო ხარჯების დასაფარად, ამავე პერიოდში ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავლის გათვალისწინების გარეშე;

ვ) გადაწყვეტილების მიმღებ ხელმძღვანელ პირს არ აქვს ცუდი საქმიანი რეპუტაცია, რომელიც გულისხმობს მძიმე, განსაკუთრებით მძიმე ან ეკონომიკური ქმედებისთვის ან ისეთი ქმედებისთვის ნასამართლობას, რომელმაც მისი მმართველობის დროს საწარმოს გადახდისუუნარობა გამოიწვია.

4. ამ მუხლის მესამე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევა ცნობა ნასამართლობის შესახებ, მისი გაცემიდან 3 თვის განმავლობაში.

5. ის საწარმო, რომელიც ფლობს 2017 წლის 1 ივლისამდე გაცემულ საჭაერო ხომალდების ექსპლუატანტის მოქმედ სერტიფიკატს და მოწმობის მისაღებად განაცხადს წარადგინს 2019 წლის 1 სექტემბრამდე, ვალდებულია მოწმობის მისაღებად წარადგინოს დოკუმენტაცია იმის დასადასტურებლად, რომ მას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსები ავიაკომპანიის არსებული და პოტენციური ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საჭაერო ხომალდის ექსპლუატაციის დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში.“.



6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება „ბ“ კატეგორიის საწარმოზე, იმ პირობით, რომ აღნიშნული საწარმო დაასაბუთებს, რომ მისი წმინდა აქტივების ღირებულება შეადგენს სულ მცირე 100 000 ევროს ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

7. სააგენტო, იმ „ბ“ კატეგორიის საწარმოს, რომლის წლიური ბრუნვა აღემატება 3 მილიონ ევროს ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, ან ახორციელებს რეგულარულ საჰაერო მიმოსვლას, მოსთხოვს ფინანსურ ინფორმაციას, რომლის წარდგენის ვალდებულება გააჩნია „ა“ კატეგორიის საწარმოს.

8. საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი, რომელსაც გააჩნია მოწმობა საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციისთვის, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა ნაკლებია 10 ტონაზე ან/და რომლის ადგილების რაოდენობა ნაკლებია 20-ზე და აპირებს კომერციული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის განხორციელებას საჰაერო ხომალდით, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა არის ან აღემატება 10 ტონას და/ან რომლის ადგილების რაოდენობა არის ან აღემატება 20-ს, ვალდებულია მიმართოს სააგენტოს შესაბამისი მოწმობის ასაღებად.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 21 ივნისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 25.06.2019წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება №172 - ვებგვერდი, 03.11.2020წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №187 - ვებგვერდი, 10.08.2021წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №198 - ვებგვერდი, 26.09.2022წ.

მუხლი 4. განცხადება და თანდართული საბუთები

1. საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი, მოწმობის მისაღებად სააგენტოში წარადგენს განცხადებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად და იგი უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის დანართი №2-ით გათვალისწინებულ ფორმას. განცხადებას ხელს აწერს იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.

2. განცხადება სააგენტოსთვის წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს.

3. განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 20 აპრილის №1-1/1025 ბრძანებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ინფორმაცია ორგანიზაციის და მისი საქმიანობის შესახებ:

ბ.ა) ორგანიზაციის წესდება;

ბ.ბ) განმცხადებლის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ბ.გ) განმცხადებლის ორგანიზაციული სტრუქტურა პასუხისმგებელი პირების მითითებით.

ბ¹) ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქის/მოქალაქეების მიერ საწარმოს კაპიტალში შენატანის განსახორციელებლად გამოყენებული ქონებრივი სიკეთის წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება იმ იურიდიული პირის კაპიტალში განხორციელებული შენატანების მიმართაც, რომლის მეშვეობით, აღნიშნული პირი/პირები საკუთრების უფლებით ფლობს/ფლობენ საწარმოს კაპიტალში ხმის უფლების მქონე წილის ან აქციების 50%-ზე მეტს;

ბ²) გრძელვადიანი სესხით ან/და სხვა ფორმით პარტნიორების მიერ საწარმოს ან/და შუამავალი იურიდიული პირის დაფინანსება პროპორციული უნდა იყოს მათ წილთან კაპიტალში;



გ) ექსპლუატანტის მოქმედი სერტიფიკატის ასლი, ან „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკირების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 19 აგვისტოს №142 ბრძანებით გათვალისწინებული სერტიფიკირების პროცესის მიმდინარეობის შემთხვევაში, განმცხადებლის სამუშაო ადგილზე ფაქტობრივი მდგომარეობის შემოწმების ეტაპზე (II ეტაპი) გადასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ.ა) საჰაერო ხომალდის ნასყიდობის/ლიზინგის/იჯარის ხელშეკრულება;

გ.ბ) დაზღვევის დამადასტურებელი პოლისები, რომლებიც შეესაბამება ამ წესის და „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესის დამტკიცებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 14 ივნისის №95 ბრძანების მოთხოვნებს;

გ.გ) სხ-ის საფრენად ვარგისობის მოწმობის ასლი;

გ.დ) სხ-ის რეგისტრაციის მოწმობის ასლი.

დ) ცნობა ხელმძღვანელი პირის ნასამართლობის შესახებ;

ე) ფინანსური ინფორმაცია ამ წესის დანართი №1-ის შესაბამისად.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 21 ივნისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 25.06.2019წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №198 - ვებგვერდი, 26.09.2022წ.

მუხლი 5. მოწმობის მოქმედების ვადა და ზედამხედველობა მოწმობით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე

1. მოწმობა გაიცემა უვადოდ.

2. სააგენტო ახორციელებს მუდმივ ზედამხედველობას ამ წესის მოთხოვნების შესრულებაზე, მათ შორის დეტალურ შემოწმებას შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოწმობის გაცემიდან გასულია ორი წელი;

ბ) არსებობს ეჭვი პოტენციური ფინანსური პრობლემის შესახებ;

გ) (ამოღებულია - 21.06.2019, №125);

დ) ავიაგადამზიდველის მიმართ მიმდინარეობს ფინანსური დავა ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

3. ავიაგადამზიდველი ვალდებულია სააგენტოს წარუდგინოს აუდირებული ფინანსური ანგარიში შესაბამისი საანგარიშო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, ასევე, მოთხოვნისთანავე წარუდგინოს დანართი №1-ის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია და ნებისმიერი ისეთი ინფორმაცია, რომელსაც სააგენტო მოითხოვს ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ავიაგადამზიდველის შესაბამისობის დასადგენად.

4. სააგენტო უფლებამოსილია, სათანადო ინფორმაციის საფუძველზე, ნებისმიერ დროს შეაფასოს ავიაგადამზიდველის ფინანსური მდგომარეობა და გადაამოწმოს მისი ეკონომიკური მდგომარეობა.

5. ავიაგადამზიდველი ვალდებულია სააგენტოს შეატყობინოს:

ა) წინასწარ, ახალი ავიაგადაზიდვის განხორციელების გეგმების შესახებ იმ რეგიონში, სადაც ავიაგადაზიდვებს აქამდე არ აწარმოებდა, ან მისი საქმიანობის მოცულობის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ, მათ შორის გამოყენებული საჰაერო ხომალდების ტიპის ან/და რაოდენობის ცვლილების შესახებ;

ბ) წინასწარ, საწარმოში დაგეგმილი რეორგანიზაციის შესახებ;



გ) მესაკუთრის და/ან მესაკუთრის წილის (აქციათა) ცვლილების შესახებ, ცვლილებიდან 14 დღის განმავლობაში, თუ ცვლილება შეადგენს ავიაგადამზიდველის, მისი მშობელი საწარმოს ან ჰოლდინგის წილის (აქციათა) საერთო რაოდენობის 10%-ს ან მეტს;

დ) ავიაგადამზიდველის ან/და შუამავალი იურიდიული პირის კაპიტალში განხორციელებული შენატანის და ამ მიზნით გამოყენებული ქონებრივი სიკეთის წარმომავლობის შესახებ, ამგვარი შენატანის განხორციელებიდან 14 დღის განმავლობაში.

6. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ავიაგადამზიდველის ფინანსურ მდგომარეობაზე, შესაბამის ავიაგადამზიდველს მოსთხოვს ამ წესის დანართი №1-ის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციას, რომელსაც განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას, განსახორციელებელი ცვლილების მიზანშეწონილობის შესახებ, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში.

7. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მოთხოვნები არ ვრცელდება „ბ“ კატეგორიის საწარმოზე, იმ პირობით, რომ აღნიშნული საწარმო დაასაბუთებს, რომ მისი წმინდა აქტივების ღირებულება შეადგენს მინიმუმ 100 000 ევროს ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი ახორციელებს რეგულარულ ავიაგადაზიდვებს ან მისი წლიური ბრუნვა აღემატება 3 მილიონ ევროს ეროვნულ ვალუტაში.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 21 ივნისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 25.06.2019წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №198 - ვებგვერდი, 26.09.2022წ.

მუხლი 6. მოწმობის შეჩერება და გაუქმება

1. სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას მოწმობის მოქმედების შეჩერების თაობაზე, თუ:

ა) შეფასებისას დადგინდა, რომ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში ავიაგადამზიდველი ვერ ასრულებს თავის არსებულ და პოტენციურ ფინანსურ ვალდებულებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტო მიიჩნევს, რომ საფრთხე არ შეექმნება საავიაციო უსაფრთხოებას და არსებობს დამაკმაყოფილებელი საფინანსო რეორგანიზაციის განხორციელების რეალური შესაძლებლობა;

ბ) ავიაგადამზიდველს შეუჩერდა საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატი;

გ) არ იქნა წარმოდგენილი ამ წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

დ) ავიაგადამზიდველს არ დაუწყია კომერციული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის განხორციელება მოწმობის გაცემიდან 6 თვის განმავლობაში;

ე) ავიაგადამზიდველს შეწყვეტილი აქვს კომერციული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა ექვს თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში;

ვ) ავიაგადამზიდველი ვეღარ აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას;

ზ) (ამოღებულია - 22.09.2022, №198);

თ) მოითხოვს ავიაგადამზიდველი.

2. მოწმობის მოქმედება შეჩერდება იმ დრომდე, ვიდრე არ გამოსწორდება დარღვევა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 60 დღით, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოწმობის შეჩერებისა, რა შემთხვევაშიც მოწმობის შეჩერების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს.

3. ნაკლოვანებების აღმოფხვრის თაობაზე ავიაგადამზიდველი წერილობით აცნობებს სააგენტოს, რომელიც შეტყობინების მიღებიდან 20 დღის ვადაში განიხილავს წარმოდგენილ დოკუმენტაციას. მოწმობის მოქმედების ვადა აღდგება, თუ სააგენტო დარწმუნდება ნაკლოვანების



გამოსწორებაში.

4. სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაუქმების თაობაზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ავიაგადამზიდველი ვეღარ აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ნებისმიერ მოთხოვნას;

ბ) თუ გავიდა სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების ვადა და ამ ვადის განმავლობაში არ აღმოიფხვრა შეჩერების საფუძველი;

გ) თუ ავიაგადამზიდველი, მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოში განზრახ წარადგენს მცდარ ინფორმაციას;

დ) კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 24 ივლისის ბრძანება №150 - ვებგვერდი, 25.07.2019წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №187 - ვებგვერდი, 10.08.2021წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №198 - ვებგვერდი, 26.09.2022წ.

მუხლი 7. გადაწყვეტილების მიღება. მოწმობის და მოწმობის დუბლიკატის გაცემა

1. სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას მოწმობის გაცემის ან გაცემაზე უარის შესახებ განაცხადის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღის ვადაში.

2. სააგენტოს გადაწყვეტილება ეცნობება განმცხადებელს და ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. გადაწყვეტილება გაცემაზე უარის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული და მითითებული იყოს უარის შესაბამისი მიზეზი.

3. სააგენტო, მოწმობის მფლობელის განაცხადის საფუძველზე მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გასცემს მოწმობის დუბლიკატს.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №198 - ვებგვერდი, 26.09.2022წ.

მუხლი 8. დაზღვევა

1. ავიაგადამზიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ფოსტის დაზღვევა, ფოსტასთან დაკავშირებული საავიაციო შემთხვევებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მიზნით.

2. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დამადასტურებელი პოლის(ებ)ი შესაძლო ზიანის საკომპენსაციოდ, რომელიც შეიძლება მიადგეს მგზავრს, ბარგის და/ან ტვირთის გამგზავნს ან მიმღებს, ან/და მესამე პირს და პასუხისმგებლობის დაზღვევის ფარგლები უნდა შეესაბამებოდეს „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესის დამტკიცება“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 14 ივნისის №95 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 9. (ამოღებულია)

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №187 - ვებგვერდი, 10.08.2021წ.

მუხლი 10. (ამოღებულია)

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 21 ივნისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 25.06.2019წ.

დანართი №1

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 21 ივნისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 25.06.2019წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №198 - ვებგვერდი, 26.09.2022წ.

1. პირველად განცხადების შეტანისას ფინანსური საიმედოობის დადასტურების მიზნით წარმოსადგენი ინფორმაცია:



1.1 „ა“ კატეგორიის საწარმოსთვის:

ა) საწარმოს მენეჯმენტის ბოლო ანგარიში და არსებობის შემთხვევაში გასული წლის აუდირებული ფინანსური ანგარიში;

ბ) პირველი სამი წლის ბიზნესგეგმა, რომელსაც უნდა გააჩნდეს განხორციელების გონივრული პერსპექტივა და უპასუხებდეს ამავე წესის №4 დანართით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

გ) დაგეგმილი საბალანსო და მოგება-ზარალის უწყისები მომდევნო სამი წლისათვის;

დ) დეტალური ინფორმაცია მოსალოდნელი შემოსავლების და ხარჯების შესახებ, კერძოდ: საწვავთან, ბილეთებთან და ტარიფებთან, ხელფასებთან, მომსახურებასთან, ამორტიზაციასთან, სავალუტო კურსის ცვლილებებთან, აეროპორტების გადასახადებთან, საჰაერო ნავიგაციის გადასახადებთან, მიწაზე მომსახურებასთან, დაზღვევასთან და სხვ. დაკავშირებით, გადაზიდვების, შემოსავლების პროგნოზები;

ე) ინფორმაცია ავიაგადაზიდვების დაგეგმილი მოცულობის შესახებ, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ფრენის რაიონების გეოგრაფიული კოორდინატების მიხედვით, ბაზირების ქვეყნების მითითებით;

ვ) დაწვრილებითი ინფორმაცია ავიაგადაზიდვების წარმოების დაწყებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ;

ზ) არსებული და მოსალოდნელი საფინანსო წყაროების შესახებ მონაცემები;

თ) საბანკო ამონაწერი (რომელიც დაადასტურებს, რომ ავიაგადამზიდველს გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი, რომ დაფაროს ბიზნესგეგმის შესაბამისად გაწერილი პირველი სამი თვის ხარჯები, ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავლის გათვალისწინებლად);

ი) დაგეგმილი ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი და ლიკვიდურობის გეგმები პირველი სამი წლისათვის.

1.2. „ბ“ კატეგორიის საწარმოსათვის;

აუდირებული ფინანსური ანგარიში, რომელიც დაადასტურებს, რომ ავიაგადამზიდველის წმინდა აქტივების ღირებულება შეადგენს მინიმუმ 100 000 ევროს ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში;

1.3. დანართი №1-ის 1.1 პუნქტის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნა არ ვრცელდება იმ საწარმოზე, რომელიც ფლობს 2017 წლის 1 ივლისამდე გაცემულ ექსპლუატანტის მოქმედ სერტიფიკატს და მოწმობის მისაღებად განაცხადს წარადგენს 2019 წლის 1 სექტემბრამდე.

2. ინფორმაცია, რომელიც მიწოდებული უნდა იქნეს მოწმობის მფლობელების ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნების შეფასებასთან დაკავშირებით, რომლებიც აპირებენ ცვლილებების შეტანას საწარმოს სტრუქტურაში ან საქმიანობაში, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს მათ ფინანსურ მდგომარეობაზე:

ა) საჭიროების შემთხვევაში საწარმოს მენეჯმენტის ბოლო ანგარიში და გასული წლის აუდირებული ფინანსური ანგარიში;

ბ) ყველა განსახორციელებელი ცვლილების ზუსტი დეტალები, მაგ.: მომსახურების ტიპის ცვლილება, საწარმოთა შერწყმის შესახებ, სააქციო კაპიტალის ცვლილებები და სხვ;

გ) დაგეგმილი საბალანსო და მოგება-ზარალის უწყისები, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს განსახორციელებელი ცვლილებები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე;

დ) წარსული და მოსალოდნელი ხარჯების და შემოსავლის ციფრები საწვავთან, ბილეთებთან და ტარიფებთან, ხელფასებთან, მომსახურებასთან, ამორტიზაციასთან, სავალუტო კურსის



ცვლილებებთან, აეროპორტების გადასახადებთან, საჰაერო ნავიგაციის გადასახადებთან, მიწაზე მომსახურებასთან, დაზღვევასთან და სხვ. დაკავშირებით, ავიაგადაზიდვების, შემოსავლების პროგნოზები;

ე) შემდეგი წლისათვის ფულადი სახსრების მოძრაობასა და ლიკვიდურობასთან დაკავშირებული გეგმების შესახებ ანგარიშები, მათ შორის სტრუქტურაში ან საქმიანობაში დაგეგმილი ცვლილებები, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე;

ვ) საჰაერო ხომალდების ნასყიდობის/იჯარის ხელშეკრულებები;

ზ) მოდევნო 12-თვიანი პერიოდის ამსახველი განახლებული ბიზნესგეგმა.

3. ინფორმაცია, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოქმედი მოწმობის მფლობელების ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნების შესწავლასთან დაკავშირებით:

3.1. „ა“ კატეგორიის საწარმოსთვის:

ა) აუდირებული ფინანსური ანგარიში შესაბამისი საანგარიშო წლის ბოლო დღიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს სხვაგვარად არის გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით და საწარმოს მენეჯმენტის ანგარიშები;

ბ) საბანკო ამონაწერი;

გ) საგადასახადო დეკლარაციები;

დ) მომდევნო წლისათვის დაგეგმილი საბალანსო და მოგება-ზარალის უწყისები;

ე) ინფორმაცია ავიაგადაზიდვების დაგეგმილი მოცულობის შესახებ, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ფრენის რაიონების გეოგრაფიული კოორდინატების მიხედვით, ბაზირების ქვეყნების მითითებით;

ვ) დეტალური ინფორმაცია მოსალოდნელი შემოსავლების და ხარჯების შესახებ, კერძოდ: საწვავთან, ბილეთებთან და ტარიფებთან, ხელფასებთან, მომსახურებასთან, ამორტიზაციასთან, სავალუტო კურსის ცვლილებებთან, აეროპორტების გადასახადებთან, საჰაერო ნავიგაციის გადასახადებთან, მიწაზე მომსახურებასთან, დაზღვევასთან და სხვ. დაკავშირებით, გადაზიდვების, შემოსავლების პროგნოზები;

ზ) ანგარიში საკრედიტო და სადებეტო დავალიანებების შესახებ;

თ) დაგეგმილი ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი და ლიკვიდურობის გეგმები მომდევნო საანგარიშო წლისათვის.

3.2. „ბ“ კატეგორიის საწარმოსთვის:

აუდირებული ფინანსური ანგარიში, რომელიც დაადასტურებს, რომ ავიაგადაზიდვების წმინდა აქტივების ღირებულება შეადგენს მინიმუმ 100 000 ევროს ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

დანართი №2

განაცხადის ფორმა

განაცხადი საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მიღებაზე

„ა“ კატეგორიის საწარმო (ავიაგადაზიდველი, რომელსაც ექსპლუატაციაში ჰყავს საჰაერო ხომალდი, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა არის ან აღემატება 10 ტონას და/ან რომლის ადგილების რაოდენობა არის ან აღემატება 20-ს)

„ბ“ კატეგორიის საწარმო (ავიაგადაზიდველი, რომელსაც ექსპლუატაციაში ჰყავს საჰაერო ხომალდი, რომლის



ავიაგადამზიდველის დასახელება:	სარეგისტრაციო ნომერი:
მისამართი:	ტელეფონი:
საფოსტო ინდექსი:	ფაქსი:
ელექტრონული ფოსტა:	ვებგვერდი:

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- ინფორმაცია ორგანიზაციის და მისი საქმიანობის შესახებ (ორგანიზაციის წესდება);
- განმცხადებლის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- განმცხადებლის ორგანიზაციული სტრუქტურა პასუხისმგებელი პირების მითითებით;
- ცნობა ხელმძღვანელი პირის ნასამართლეობის შესახებ;
- ექსპლუატანტის მოქმედი სერტიფიკატის ასლი;
- სხ-ის საფრენად ვარგისობის მოწმობის ასლი;
- სხ-ის რეგისტრაციის მოწმობის ასლი;
- საჰაერო ხომალდის ნასყიდობის/იჯარის ხელშეკრულება;
- დაზღვევის დამადასტურებელი პოლისები, რომლებიც შეესაბამება ამ წესის და „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესის დამტკიცებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 14 ივნისის №95 ბრძანების მოთხოვნებს;
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

„ა“ კატეგორიის საწარმოსათვის-საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- პირველი სამი წლის ბიზნესგეგმა;
- დაგეგმილი საბალანსო უწყისი და მოგება-ზარალის უწყისი პირველი სამი წლისათვის;
- საწარმოს მენეჯმენტის ბოლო ანგარიში და არსებობის შემთხვევაში გასული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიში;
- ინფორმაცია ავიაგადაზიდვების დაგეგმილი მოცულობის შესახებ, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ფრენის რაიონების გეოგრაფიული კორდინატების მიხედვით, ბაზირების ქვეყნების



მითითებით;

☐ დეტალური ინფორმაცია მოსალოდნელი შემოსავლების და ხარჯების შესახებ, კერძოდ: საწვავთან, ბილეთებთან და ტარიფებთან, ხელფასებთან, მომსახურებასთან, ამორტიზაციასთან, სავალუტო კურსის ცვლილებებთან, აეროპორტების გადასახადებთან, საჰაერო ნავიგაციის გადასახადებთან, მიწაზე მომსახურებასთან, დაზღვევასთან და სხვ. დაკავშირებით, გადაზიდვების, შემოსავლების პროგნოზები;

☐ საბანკო ამონაწერი;

☐ დაწვრილებითი ინფორმაცია ავიაგადაზიდვების წარმოების დაწყებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ;

☐ არსებული და მოსალოდნელი დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაცია;

☐ დაგეგმილი ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი და ლიკვიდურობის გეგმები პირველი სამი წლისათვის.

„ბ“ კატეგორიის საწარმოსათვის საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

☐ აუდირებული ფინანსური ანგარიში, რომელიც დაადასტურებს, რომ საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულება შეადგენს მინიმუმ 100 000 ევროს ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, ან

☐ ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებულია „ა“ კატეგორიის საწარმოსათვის საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მისაღებად.

ადგილი:	თარიღი:
უფლებამოსილი პირის თანამდებობა:	უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

განაცხადის ფორმა

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მიღებაზე განაცხადი იმ საწარმოსთვის, რომელიც ფლობს 2017 წლის 1 ივლისამდე გაცემულ ექსპლუატანტის მოქმედ სერთიფიკატს.

☐ „ა“ კატეგორიის საწარმო (ავიაგადამზიდველი, რომელსაც ექსპლუატაციაში ჰყავს საჰაერო ხომალდი, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა არის ან აღემატება 10 ტონას და/ან რომლის ადგილების რაოდენობა არის ან აღემატება 20-ს)

☐ „ბ“ კატეგორიის საწარმო (ავიაგადამზიდველი, რომელსაც ექსპლუატაციაში ჰყავს საჰაერო ხომალდი, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა ნაკლებია 10 ტონაზე და/ან რომლის ადგილების რაოდენობა არ აღემატება 20-ს)

ავიაგადამზიდველის დასახელება:	სარეგისტრაციო ნომერი:
მისამართი:	ტელეფონი:
საფოსტო ინდექსი:	ფაქსი:
ელექტრონული ფოსტა:	ვებგვერდი:



საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- ინფორმაცია ორგანიზაციის და მისი საქმიანობის შესახებ (ორგანიზაციის წესდება);
- განმცხადებლის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- განმცხადებლის ორგანიზაციული სტრუქტურა პასუხისმგებელი პირების მითითებით;
- ცნობა ხელმძღვანელი პირის ნასამართლობის შესახებ;
- ექსპლუატანტის მოქმედი სერტიფიკატის ასლი;
- სხ-ის საფრენად ვარგისობის მოწმობის ასლი;
- სხ-ის რეგისტრაციის მოწმობის ასლი;
- საჰაერო ხომალდის ნასყიდობის/იჯარის ხელშეკრულება;
- დაზღვევის დამადასტურებელი პოლისები, რომლებიც შეესაბამება ამ წესის და „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესის დამტკიცებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 14 ივნისის №95 ბრძანების მოთხოვნებს;
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

„ა“ კატეგორიის საწარმოსათვის საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- პირველი სამი წლის ბიზნეს გეგმა;
- დაგეგმილი საბალანსო უწყისი და მოგება-ზარალის უწყისი პირველი სამი წლისათვის;
- ინფორმაცია ავიაგადაზიდვების დაგეგმილი მოცულობის შესახებ, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ფრენის რაიონების გეოგრაფიული კორდინატების მიხედვით, ბაზირების ქვეყნების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია მოსალოდნელი შემოსავლების და ხარჯების შესახებ, კერძოდ: საწვავთან, ბილეთებთან და ტარიფებთან, ხელფასებთან, მომსახურებასთან, ამორტიზაციასთან, სავალუტო კურსის ცვლილებებთან, აეროპორტების გადასახადებთან, საჰაერო ნავიგაციის გადასახადებთან, მიწაზე მომსახურებასთან, დაზღვევასთან და სხვ. დაკავშირებით, გადაზიდვების, შემოსავლების პროგნოზები;
- დაგეგმილი ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი და ლიკვიდურობის გეგმები პირველი სამი წლისათვის;

„ბ“ კატეგორიის საწარმოსათვის საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- აუდირებული ფინანსური ანგარიში, რომელიც დაადასტურებს, რომ საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულება შეადგენს მინიმუმ 100 000 ევროს ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, ან
- ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებულია „ა“ კატეგორიის საწარმოსათვის საჰაერო გადაყვანა-



გადაზიდვის მოწმობის მისაღებად.

ადგილი:

თარიღი:

უფლებამოსილი პირის თანამდებობა:

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

დანართი №3



სსიპ – სამოქალაქო ავიაციის
სააგენტო

LEPL Civil Aviation Agency of
Georgia



საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობა

Operating Licence N ---

ავიაგადამზიდველი:

The air carrier :

სათავო ოფისი:

Headquarters in:

უფლებამოსილია განახორციელოს

Herewith shall be authorized

კომერციული საჰაერო ტრანსპორტით მგზავრის, ფოსტის და ტვირთის გადაზიდვა

To carry passengers, mail and/or freight in commercial air traffic

მოწმობის ტიპი: „ა“ კატეგორიის საწარმო/Category “A” MTOM \geq 10 tones / Seats \geq 20

Type of licence: „ბ“ კატეგორიის საწარმო/Category “B” MTOM $<$ 10 tones / Seats $<$ 20

გადამზიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს საჰაერო ხომალდი, რომელიც არის მითითებული მოქმედი ექსპლუატანტის სერტიფიკატში.

Within the scope of this licence the air carrier shall be authorized to use those aircraft listed in the

Air Operator Certificate (AOC) in force.

აღნიშნული მოწმობა ძალაშია გაუქმებამდე.



The operating licence shall be valid until revoked.

გაცემის თარიღი:

Date of issue:

სააგენტოს დირექტორი -----

Director of Agency

დანართი N4

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №198 - ვებგვერდი, 26.09.2022წ.

ავიაგადამზიდველის ბიზნეს გეგმა უნდა შედგებოდეს, სულ მცირე, შემდეგი კომპონენტებისგან:

1. ბიზნესის ზოგადი აღწერა: ავიაკომპანიის მთავარი კონცეფცია, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

- ავიაკომპანიის მთავარი კონცეფციის აღწერა (კომპანიის მისია, ხედვა, შემოსავლების და ხარჯების სტრუქტურა, მომსახურების სახეები, საჰაერო ხომალდების ტიპები, სამიზნე ბაზრები);
- სამიზნე მომხმარებლები და კომპანიის განვითარების შესაძლებლობები;
- კონკურენტული უპირატესობები ბაზარზე არსებულ ავიაკომპანიებთან შედარებით;
- ბაზრის სავარაუდო წილის მოლოდინები და კონკურენტული უპირატესობის მოპოვების სტრატეგია;
- მმართველი გუნდი და მისი გამოცდილება ავიაკომპანიის მართვის კუთხით;
- ფინანსური მაჩვენებლები: დაგეგმილი მოგების მარჟა და ა.შ.
- კაპიტალიზაციის გეგმა და ამონაგები ინვესტიციიდან.

2. ინდუსტრია და სამიზნე ბაზარი: ინდუსტრიის სათანადო კვლევა, რომელიც აჩვენებს, რომ საწარმოს მმართველ გუნდს სათანადოდ ესმის საავიაციო ინდუსტრიის სპეციფიკა და იმ ბაზრის თავისებურებები, რომელზეც დაგეგმილია ოპერირება. აუცილებელია, მოყვანილ იქნეს დამატებითი დამხმარე დოკუმენტაცია (მასალები) და სათანადო სტატისტიკური ინფორმაცია, რათა არჩეული ბაზრის მიმზიდველობა საკმარისად იქნეს დასაბუთებული. ამ მიზნით, გამოყენებულ უნდა იქნეს უახლესი მონაცემები, რომლებიც გაამყარებენ ბიზნეს გეგმაში მოცემულ არგუმენტაციას.

3. კონკურენტული ანალიზი: ბაზარზე მოქმედი კონკურენტების და მათი საქმიანობის ანალიზი, მათ მიერ შეთავაზებული მომსახურება და მოწმობის მაძიებელი ავიაგადამზიდველის მიერ მათთვის კონკურენციის გაწევის სტრატეგია.

4. განვითარების შესაძლებლობები: საწარმოს ხედვა ბაზარზე მორგების თვალსაზრისით, კომპანიის და სამიზნე ბაზრის განვითარების პერსპექტივა, აპირებს თუ არა კომპანია ისეთი განსაკუთრებული მახასიათებლების შეტანას არსებულ ბაზარზე, რომლებიც აქამდე არ ყოფილა შეთავაზებული. კონკრეტულად რომელ ბაზარზე აპირებს კომპანია შესვლას და რატომ.

5. შეთავაზებული მომსახურება (მომსახურების სახეები): მმართველი გუნდის ხედვა საწარმოს საქმიანობის მიმართ. ბიზნეს გეგმის ამ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია თუ რა ტიპის ავიაკომპანიის დაფუძნება იგეგმება და რა ტიპის მომსახურება უნდა შესთავაზოს მან მომხმარებლებს. აუცილებელია დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა შემდეგ საკითხებზე:

- ზოგადი კონცეფცია;
- მისია/ხედვა;



- ოპერირების არეალი (შიდა, რეგიონული, საერთაშორისო);
- რომელ ბაზრებზე იგეგმება შესვლა;
- მთავარი ოფისი/საოპერაციო ბაზა(ები);
- სამიზნე მომხმარებლის სეგმენტი;
- მარშრუტის სტრუქტურა (ადგილობრივი, ჰაზი, წერტილიდან წერტილამდე);
- განრიგი;
- სიხშირე;
- შეთავაზებული პროდუქტი/მომსახურება;
- შერჩეული საჰაერო ხომალდები;
- ალიანსი ან პარტნიორობა სხვა ავიაკომპანიებთან, კოდ-ზიარი;
- ბაზარზე შესვლა და ზრდის სტრატეგია;
- მდგრადი კონკურენტული უპირატესობა.

6. მარკეტინგი და მიწოდების გეგმა: კომპანიის მარკეტინგული და ფასწარმოქმნის სტრატეგია, გაყიდვების და მიწოდების გეგმა, დაგეგმილი წამახალისებელი და სარეკლამო კამპანიები.

7. საოპერაციო გეგმა: კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა და ადამიანური რესურსის მართვის გეგმა, შესაბამისი დეპარტამენტებისა და მათი უფლება-მოვალეობების აღწერით, თანამშრომელთა რიცხოვნობა დეპარტამენტების მიხედვით მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

8. მმართველი გუნდი: ძლიერი და კარგად ორგანიზებული მმართველი გუნდის აღწერა შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მითითებით.

9. რისკები და მათი დაზღვევის გეგმა: საწარმოსთან დაკავშირებული რისკებისა და მათი დაზღვევის მექანიზმების აღწერა. აღნიშნული რისკების გონივრული შეფასება და მათი მართვის გეგმა.

10. ფინანსური და საოპერაციო გეგმა (3 წელი): 3 წლის ფინანსური გეგმა (დაგეგმილი ფინანსური უწყისები), რომელიც მოიცავს ყველა დასაბუთებულ ვარაუდს. ფინანსური გეგმა და მასში გამოყენებული დაშვებები და ვარაუდები უნდა იყოს გონივრული.

11. გეგმის განხორციელების განრიგი: ავიაკომპანიის განვითარების ეტაპები და ფაზები:

- საბაზისო განვითარების ფაზა:
 - o ბიზნეს გეგმის დახვეწა;
 - o ფინანსური მოდელის დახვეწა;
 - o მმართველი გუნდის ჩამოყალიბება;
 - o საჰაერო ხომალდების შერჩევა;
 - o ინვესტორების დაინტერესება.
- დაწყების ფაზა - ზოგადად 12-18 თვე:



- o ფინანსების მოძიება;
- o სერტიფიცირება;
- o საჰაერო ხომალდების მოძიება;
- o სერტიფიცირება;
- o თანამშრომლების აყვანა;
- o აღჭურვილობა;
- o საჰაერო ოპერაციების დაწყება - 0-12 თვე.
- საწყისი ზრდის ფაზა - ზოგადად 3 დან 5 წლამდე.

12. კაპიტალიზაციის გეგმა: კომპანიის ხედვა კაპიტალის მოზიდვის თვალსაზრისით. კაპიტალიზაციის გეგმის აღწერის მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი ელემენტები:

- კაპიტალის სტრუქტურა:
 - o მმართველი გუნდის ინვესტიცია;
 - o ავიაკომპანიის საწყისი ხარჯებისთვის საჭირო ფინანსები;
 - o საწყისი კაპიტალის წყაროები;
 - o საჰაერო ხომალდის დაფინანსება;
 - o საწარმოს დაფინანსება;
- საწესდებო კაპიტალი:
 - o ინვესტორების მხრიდან სავალდებულო ნაღდი ფულის შენატანი;
 - o კაპიტალში შესვლა ინვესტირების გზით;
 - o სავარაუდო ამონაგები ინვესტიციიდან;
 - o ინვესტორის გასვლის სტრატეგია.

